ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-112

2010 წლის 29 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა-შენახვის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 იანვრის №-2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა-შენახვის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 იანვრის №-2 განკარგულებაში შევიდეს ცვლილებები და განკარგულებით დამტკიცებული პროგრამა ჩამოყალიბდეს თანახმად დანართისა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**